



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური
დირექტორის

ბრძანება № 65

2016 წლის 06 აპრილი

ქ. თბილისი

2016 წლის საერთაშორისო ოლიმპიადებისთვის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრების შერჩევის მიზნით ჩატარებულ შესარჩევ ტურებზე მიღებული შეფასებისა და პროცედურული დარღვევების გასაჩივრებისა და განხილვის მიზნით სააპელაციო განაცხადის ფორმის დამტკიცებისა და საგნობრივი საპრეტენზიო კომისიების შექმნის შესახებ

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის ”ე“ ქვეპუნქტისა და “2016 წლის საერთაშორისო ოლიმპიადებისთვის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრების შერჩევის, მომზადებისა და საერთაშორისო ოლიმპიადებში მათი მონაწილეობის ადმინისტრირების უზრუნველყოფის ღონისძიებების შესახებ“ სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში: ფონდი) გენერალური დირექტორის 2016 წლის 18 მარტის N49 ბრძანებით დამტკიცებული „2016 წლის საერთაშორისო ოლიმპიადებისათვის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრების შერჩევის, მომზადებისა და საერთაშორისო ოლიმპიადებში მონაწილეობის ადმინისტრირების პროცედურები და პირობები“-ს მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს 2016 წლის საერთაშორისო ოლიმპიადებისთვის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრების შერჩევის მიზნით ჩატარებულ შესარჩევ ტურებზე მიღებული შეფასებისა და პროცედურული დარღვევების გასაჩივრებისა და განხილვის მიზნით სააპელაციო განაცხადის ფორმა ამ ბრძანების დანართ 1-ის შესაბამისად.

2. დამტკიცდეს დამტკიცდეს 2016 წლის საერთაშორისო ოლიმპიადებისთვის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრების შერჩევის მიზნით ჩატარებულ შესარჩევ ტურებზე მიღებული შეფასებისა და პროცედურული დარღვევების გასაჩივრებისა და განხილვის მიზნით საგნობრივი საპრეტენზიო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) ფიზიკის საგნობრივი საპრეტენზიო კომისია:

ა.ა) ზაალ მაჭავარიანი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ასოცირებული პროფესორი; ფიზიკა - მათემატიკის მეცნიერებათა

აკადემიური დოქტორი; სპეციალობა - ატომის, ატომბირთვისა და ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკა - კომისიის თავმჯდომარე

ა.ბ) კახაბერ თავზარაშვილი - საქართველოს უნივერსიტეტი; სრული პროფესორი; ფიზიკა - მათემატიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი; სპეციალობა - რადიოფიზიკა, კვანტური რადიოფიზიკა - კომისიის წევრი;

ა.გ) თამარ ჭელიძე - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ასისტენტ - პროფესორი; ფიზიკა - მათემატიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი; სპეციალობა - მყარი სხეულებისა და კვანტური სითხეების ფიზიკა - კომისიის წევრი

ა.დ) ნინო მაჩურიშვილი - ფონდის იურიდიული და ადმინისტრაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, კომისიის მდივანი (ხმის უფლების გარეშე).

ბ) მათემატიკის საგნობრივი საპრეტენზიო კომისია:

ბ.ა) მაია სვანაძე - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; მათემატიკის დოქტორი; სპეციალობა - გამოყენებითი მათემატიკა - კომისიის თავმჯდომარე;

ბ.ბ) თენგიზ ტეტუნაშვილი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი; მათემატიკის დოქტორი; სპეციალობა - მათემატიკა - კომისიის წევრი;

ბ.გ) მიხეილ თუთბერიძე - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი; ასოცირებული პროფესორი; ფიზიკა - მათემატიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი; სპეციალობა - გამოთვლითი მათემატიკა - კომისიის წევრი;

ბ.დ) ნინო მაჩურიშვილი - ფონდის იურიდიული და ადმინისტრაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, კომისიის მდივანი (ხმის უფლების გარეშე).

გ) ბიოლოგიის საგნობრივი საპრეტენზიო კომისია:

გ.ა) ნანული დორეული - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; დიპლომირებული სპეციალისტი; სპეციალობა - ბიოლოგია - კომისიის თავმჯდომარე;

გ.ბ) ნანა კოშორიძე - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი; სპეციალობა - ბიოქიმია - კომისიის წევრი;

გ.გ) ნუნუ მიცკევიჩი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ბიოლოგიის დოქტორი; სპეციალობა - ალერგოლოგია და იმუნოლოგია - კომისიის წევრი;

გ.დ) ნინო მაჩურიშვილი - ფონდის იურიდიული და ადმინისტრაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, კომისიის მდივანი (ხმის უფლების გარეშე)

დ) ქიმიის საგნობრივი საპრეტენზიო კომისია:

დ.ა) მარინა რუხაძე - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტი; ასოცირებული პროფესორი; ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი; სპეციალობა - ქიმიკოსი - კომისიის თავმჯდომარე;

დ.ბ) მამუკა მაისურაძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი; სრული პროფესორი; დოქტორი; სპეციალობა - ბიოორგანული ქიმია, ბიოლოგიურად აქტიურ ნაერთთა ქიმია - კომისიის წევრი;

დ.გ) ზურაბ გელეიშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი; სრული პროფესორი; ქიმიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი; სპეციალობა ორგანული ქიმია - კომისიის წევრი;

დ.დ) ნინო მაჩურიშვილი - ფონდის იურიდიული და ადმინისტრაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, კომისიის მდივანი (ხმის უფლების გარეშე).